



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბექაური ლაშა გიორგის ძე

ბექაური ლაშა გიორგის ძე (დ. 26. VII. 2000, სოფ. არხილოსკალო, დედოფლისწყაროს მუნიციპ.), სპორტსმენი, ძიუდოსტი. ოლიმპიური ჩემპიონი (ტოკიო, 2020, ოლიმპიადა გაიმართა 2021-ში), ევროპის ჩემპიონი (2021), მსოფლიოს მასტერსის ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული (2019), მსოფლიოს (2018, 2019) და ევროპის (2019) ახალგაზრდული ჩემპიონატების გამარჯვებული, კადეტებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი (2017).

საქართვე. ოლიმპიურმა კომიტეტმა გახსნა მისი სახელობის ვარსკვლავი (2021).

დასახელდა საქართველოს 2019 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად.
